ლენინგრადი (“დინამო”) – თბილისი (“დინამო”)

1 და 2 მაისს ბერიას სახელობის დინამოს სტადიონზე ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადისა და თბილისის “დინამოს” გუნდების სათადარიგო და ძირითადი შემადგენლობანი.

გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა დამთავრდა ლენინგრადელების გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

დიდ ინტერესს იწვევდა გუნდების ძირითად შემადგენლობათა მატჩი. შარშან ლენინგრადის “დინამოს” გუნდი გამოვიდა მეხუთე ადგილზე, თბილისის გუნდი კი მეოთხეზე. წელს ლენინგრადის გუნდი შევსებულია ახალი მოთამაშეებით. საუკეთესო ფორმაშია გუნდის თავდამსხმელი არხანგელსკი, რომელმაც მინსკის “დინამოსთან” შეხვედრისას ორი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში.

თამაში დაიწყო სწრაფი ტემპით და მიმდინარეობდა ცვალებადი უპირატესობით. ორივე გუნდის მეკარეებს თამაშის პირველ წუთშივე მოუხდათ ძნელი ბურთების აღება.

საანგარიშო მატჩში შედარებით სუსტი იყო თბილისელთა თავდასხმა. პანიუკოვმა ორჯერ სულ ახლო მანძილიდან ვერ შესძლო ბურთის გატანა. მხოლოდ თამაშის ოცდამეხუთე წუთზე ბერძენიშვილი–პაიჭაძის მიერ გათამაშებული კომბინაცია დააგვირგვინა თბილისის “დინამოს” მარცხენა გარემარბმა ხარბედიამ. მან მოწინააღმდეგის კარში გაიტანა პირველი და გადამწყვეტი ბურთი.

შეხვედრა დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით – 1:0.

4 მაისი, 1946 წ.